განმარტებითი ბარათი

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ 3 თვის რეგისტრაციისა და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეების, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირების ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება მათი რაოდენობის ზრდის მიზნით, ოჯახების სოციალურ- ეკონომიური მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების შექმნა-გაუმჯობესება.

ა.ბ) დადგენილების პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის პროგრამა განსაზღვრავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ 3 თვის რეგისტრაციისა და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების - დევნილებისთვის მოქმედ ქვეპროგრამებს, გასაცემი თანხის ოდენობასა და გაცემის წესს.

დადგენილების მიღების ძირითადი დანიშნულებაა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირების, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ბ) დადგენილების პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ.ბ) დადგენილების მიღება გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) დადგენილების მიღება არ გამოიწვევს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

გ) დადგენილების პროექტის ავტორი:

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი, ზვიადი მხეიძე.

ე) დადგენილების პროექტის მიღების სავარაუდო ვადა:

2020 წლის დეკემბერი